№ 210
პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

ივერია

№ 210
პარასკევი, 10 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებელად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ჯერზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჯღირს 3 მან. 50 კაპ.

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამითი აცხადებს, რომ ამა წლის გაზეთ „კავკაზის“ მე-247, 248 და 249 №№-სა და „ივერიის“ მე-194, 195 და 196 №№-ში დაბეჭდილი, სესხის გარდასახადთა დროზედ შემოუტანლობისა გამო სხვადა-სხვათა მამულის გაყიდვის შესახებს განცხადებაში შეცდომით საჯარო ვაჭრობის დღედ დასახელებული იყო **23 ოქტომბერი**, უნდა ყოფილიყო-კი **23 ნოემბერი**, რადგან ამ დღეს მოხდება საჯარო ვაჭრობა გაზ. „კავკაზისა“ და „ივერიის“ ზემოდ დასახელებულს ნომრებში გამოცხადებულის მამულებისა.

(3—ნ.—1)

მთავრობის განკარგულებანი

სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

ა. საზოგადო კრებანი

§ 40. საზოგადო კრება არჩევს ყოველ კრებასთვის თავისს წევრთა შორის თავმჯდომარეს და მდივანს, კამკომისა და სარეგიზიო კომისიის წევრთა არჩევა ამ თანამდებობათა აღმასრულებლად არ შეიძლება.

§ 41. საზოგადო კრებათა დადგენილებანი უნდა ჩაწერად იქმნას ზონარგავლებულს თავიანარში და ამასთან უნდა დასასვლებულ იქმნას ყველა კრებაზედ დამსწრენი როგორც პირადად, აგრეთვე ამხანაგობის წევრთა მინდობილთა. ამ დავთარს ხელს აწერენ: კრების თავმჯდომარე, მდივანი, კამკომისა და სარეგიზიო კომისიის წევრნი და კრებაზედ დამსწრე რამდენიმე წევრი ამხანაგობისა.

§ 42. საზოგადო კრებათა მსჯელობის საგანი უნდა იყოს: ა) განხილვა და დამტკიცება წლიურის ანგარიშისა და ბალანსისა; ბ) გამგეობის წევრთა და მათის კანდიდატების რაოდენობის განაწილება, მათი არჩევანი და დათხოვნა ამ კადის გასულამდე, რა კადათაც არჩეულ იქმნენ და აგრეთვე განხილვა გამგეობაზედ საჩივრებისა; გ) ამორჩევა გამგეობის წევრთა შორის დირექტორ-გამგისა და იმისის მოადგილისა; დ) დანიშნა გასამჯელოსი დირექტორ-გამგისა და გამგეობის წევრთათვის; ე) არჩევანი სარეგიზიო კომისიისა; ვ) ამხანაგობის წევრთა გბმორიგება და სელსხლად მიღება გამორიგებულის წევრებისა; ზ) განხილვა და დამტკიცება ყოველ წლიურის შემოსავალ-გასავლისა, აგრეთვე სამომავლო ბეჭმისა; ჱ) გადაწყვეტა უმრავი მამულების შეძენისა, დაკარგვისა და გასყიდვის საქმისა; თ) გადაწყვეტა ყოველგვარის საკნისა, რომელიც შეეხება კადის აღებასა და სათადარიგო თანხის მოხმარებასა; ი) განხილვა როგორც ამხანაგობის, აგრეთვე გამგეობისა და სარეგიზიო კომისიის წევრების საკარაულო მოსაზრებათა საზოგადოების მოქმედების შესახებ; ია) გადაწყვეტა საწევრო ფულის შეკრების შესახებ; ია) ამხანაგობის ზარალის გამო იკი შემცირებულ იქმნა საწევრო ფულის რაოდენობის დაკლებასა გამო და იმის განსაზღვრისა, თუ თითოეულს წევრს რამდენის წილის ადება შეუძლიან.

იბ) გამოცემა ინსტრუქციებისა, რომელთაც უნდა იხელმძღვანელოს გამგეობამ; გამგე დირექტორმა და სხვა თანამდებობის კაცთ; იგ) გადაწყვეტა სამართალში სასჩაერის დაწყებისა ამხანაგობის ამ მოსელეთა წახაღმდეგ, რომელნიც არჩევანთა არიან მიღებულნი; იდ) განხილვა ამ საგნებისა, რომელიც წესდების შეცვლისა და დამატების შეეხება; და იე) ამხანაგობის მოქმედებათა მოსმობისა და იმის საქმეთა გაუქმების გამო.

§ 43. ამხანაგობის წევრთ, ზემოდასახელებულ საზოგადო კრებათა გარდა, შეუძლიანთ შეიკრიბენ ხოლმე გამგეობის მოწვევით, და სჯა თითბარი აქონიონ სასოფლო სამეურნეო მრეწველობის საჯაროებათა შესახებ. ამ თითბარის დროს თავმჯდომარის თანამდებობას ასრულებს ის, კისაც დამსწრეთა შორის კრება ამოარჩევს. ყოველ ასეთ მოლაპარაკებისათვის დანიშნულს დროს, ადგილს და განსახილველ საგნებს გამგეობა აუწყებს წინდაწინეე როგორც ამხანაგობის წევრთ, აგრეთვე ადგილთ ბრეკ მოდგილის მთავრობას. ისეთის საგნების განხილვას, რომელიც ამხანაგობის საკაჯრო და სამრეწველო მოქმედებასა და საერთოდ იმის საქმეებს შეეხება, ამ თითბარის დროს არ უნდა ჭქონდეს ადგილი. თითბარის დროს აღძრულ საგნები უნდა გადაწყდეს უბრალო ხმის უმეტესობით და აღსრულებულ იქმნას ამხანაგობის გამგეობის მეერ.

(შემდეგი იქნება)

ფელეტონი

კრებაზედ

ესკიზი

(ვუძღვნი არჩილ ხვედელიანის ხსოვნას)

(შემდეგი *)

— გულწრფელობა!.. ხა, ხა, ხა! სად არის ქვეყნად გულწრფელობა? ხითხითებდა ერთი ტან დაბალი და დიდ-თავა ყმაწვილი კაცი. თან ისეთის თვალით იხედებოდა აქეთ-იქეთ, თითქოს უნდა ყველას ენა მუცელში ჩაუგდოსო.

— თქვენ სცდებით, ბატონო კოდალა! (მოდი ასე დავარქვათ დიდთავა და ტან-მოკლე ყმაწვილს). გულწრფელობა რომ არ იყოს ქვეყნად, წინ-მსვლელობაც, ადამიანობაც არ იქნება. ყველა ხომ არ თვალთ-მაქცობს? შეეკამათა ბესარიონი.

— ვინა სცდება?.. მე? გაიკვირვა კოდალამ.

— დიახ, თქვენ—უთხრა ბესომ. ნუ ვიქნებით, ყმაწვილებო, ქვეყნის მოძღვენ, ბესიმისტები, როგორც ამბობენ. გვწამდეს, რომ თუ ბოროტებაა ქვეყნაად, მისი გულწრფელი მოწინააღმდეგენიც იქნებიან, თუ უსამართლოობაა, სამართლიანობაც მოიძებნება; თუ...

— ეე! ახლა თქვენ ფილოსოფიას მომიყვებით, უკბად გაგაწყვეტინა სიტყვა ბესარიონს ჩვენმა კოდალამ. მე ბავშვი ნუკი გგონივარ, რომ ანაბანას მიკითხავ, მაგ გვარი აზრები თქვენზე წინად გამიგონია, მაგრამ მე მრწამს, რომ გულწრფელობა არ არის და არა! მე არავისი არაფერი მჯერა-რა. ყველა ცოდვილობს იმითომ, რომ თავისი „მე“, თავისი თავი გამოიჩინოს!.. ცხარობდა, არ ვიცით კი რად, კოდალა.

— მაშ, როგორც გეტყობათ, თქვენც თვალთ-მაქცი უნდა იყოთ, —დაურიდებლად შენიშნა ბესომ და ლაპარაკი რომ არ გაეგრძელებინა, მოშორებას აპირებდა.

— ბრავო, ბრავო! ძროხასავით დაიბღავლა დათუა გულცივაძემ და სამჯერ თუ ოთხჯერ ცხვირში შეისრუტნა. მას ძლიერ ახარებდა კოდალას გაწყრომატება და ბესარიონის უგერგილობა.

— სსუ! ნუ ღრიალებ დათუა!—ღიმილით შენიშნა ვიღაცამ გულცივაძეს. თქვენც გაათავეთ, თუ ღმერთი გწამთ. ამშვიდებდნენ კოდალასაც, მაგრამ დიდ-თავა აღარ ისვენებდა. მან თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა და სცდილობდა დამტკიცებინა ბესარიონისათვის, რომ ისა ყოფილა „დამცირებული, და მიწასთან გასწორებული, უტვინო და ყოვლად სძაბეული“.

ჩხუბი არაფერზედაო, რომ იტყვიან, სწორედ ამაზედ ითქმოდა. რაკი დაიწყეს კამათი, აღარ თავებდნენ. ცდილობდნენ ზრდილობიანად მოქცეულიყვნენ, მაგრამ აფორიაქებული გულის თქმა თავისას არ იშლიდა... მალე ყველა, ქალი თუ კაცი, კვირიკესა და მართას გარდა, რომლებიც აიევნს გადაჰყუდებოდნენ და თავისთვის მასლაათობდნენ, ერთად შეიკრიბა და ბესო-კოდალას კამათს ყურს უგდებდნენ. ერთით საზოგადო ხასიათიც ჰქონდა იმათს კამათს, საზოგადო საგანს შეეხებოდა...

— რა მოხდა, რა ამბავია?—იკითხა ერთმა წევრთაგანმა.

— ყური დაუგდე და გაიგებ,—ცინიკურად შენიშნა გულცივაძემ... მაგრამ ვინ რას გაიგებდა. თითქმის თითოული წევრი ცხარობდა, თავისას გაიძახოდა, ხელების და ფეხების ქნევით სცდილობდნენ თავისი აზრი გაეყვანათ. ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ამის გამოცნობაში არავინ შედიოდა. მხოლოდ ერთად ერთი გულცივაძე არა სცხარობდა და ჯანდარვით დარეკილიყო შუაში. თითოეულის სახის გამომეტყველებასა სწავლობდა და ხან ერთს აქეზებდა და ხან მეორეს... მართალი რო მოგახსენოთ, საკვირველი ყმაწვილი კაცი იყო ბ-ნი გულცივაძე! ქვეყანა რომ გადაბრუნებულიყო ინუნშიაც არ ჩაიგდებდა, მას თავისს სიცოცხლეში ყველაფერი მასხარაობად ეჩვენებოდა და თუ იდებდა ხოლმე ან კრებაზედ ან სხვა საზოგადო საქმეში მონაწილეობას, მარტო იმიტომ რომ უნდოდა როგორმე გართობილიყო, დრო გაეტარებინა. დიახ, ყველგან ამაზის გამო ჩხუბი მოუვიდათ. ჩხუბის შემდეგ აპრესოვი გამოვიდა დუქნიდგან. გაბრიელოვს დაუშიზნა თოფი, რომელიც თან ჰქოდა და ესროლა. სბრალოს ტყვია მუცელში მოხვდა და მძიმედ დაჭრილი იქვე დაეცა. „ამასობაში აპრესოვი გაიქცა და დაიმალა. დაჭრილი გაბრიელოვი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. ექიმებს მისის მორჩენის იმედი არა აქვთ.

ახალი ამბავი

— ❖❖ კვირას, 5 ოქტომბერს, კარგის ჯიშის ცხენის მოშენების ხელშემწყობ საზოგადოებას, ამ საზოგადოების პრეზიდენტის ა. ა. ფრეზეს თავმჯდომარეობით, კრება ჰქონდა, რომელზედაც დამტკიცებულ იქმნა მომავალის 12 ოქტომბრის დოღის პროგრამა. შემდეგ ამორჩეულ იქმნენ გამგეობის ზოგიერთნი წევრნი.

❖❖ ქალაქის მოურავად ახლად ამორჩეულს გ. გ. ევანგულოვს საუბარი ჰქონია გუშინ დილით საბჭოს ხმოსნებთან და უთქვამს, რომ ოქტომბრის 10 ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელს უნდა მივეცე ქალაქი და გამოუცხადო, რომ ასეთის არჩევანით ვერ ვიკისრებ ამ თანამდებობას, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სულ 38 თეთრი კენჭი ამომიდგა, ე. ი. საბჭოს ხმოსანთა რიცხვის ნახევარზედ ნაკლები და, მეორეც იმიტომ, რომ კენჭის ყრა შეჩერებული იყო თავ. თუმანოვის ყუთის აღებისა გამო, რამაც დიდი ლაპარაკი და უთანხმოება გამოიწვიაო. ამის გამო გუშინ ზოგიერთს ხმოსანთ კერძო კრება ჰქონდათ ქალაქის მოურავის კანდიდატის დასასახელებლად. ერთმა ნაწილმა ხმოსნებისამ კანდიდატად დასახელეს კ. ნ. რეიტერი, ზოგიერთებმა-კი ნ. ი. ნიკოლაძე.

❖❖ ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზედ, რაკეენის მცხოვრებელს შაქრო აპრესოვს და ტფილისის მოქალაქეს არსენ გაბრიელოვს, ამ უკანასკნელის დუქანში, კახეთის ქუჩაზედ, ავლაბარში, ორი ოლიმ გულცივაძე და თავისის ახოვანებით თვალსაჩინო ადგილსაც იპყრობ, მაგრამ ყოველი საქმის გათავების შემდეგ იმასკი არა კითხულობდა, რა გავაკეთე ან რა შევიძინეო, არა იგი სახლში დაბრუნებისას წამოგორდებოდა ხოლმე თავისს ჭუჭყიან ლოგინზედ ⁄ სიცილით იგუდებოდა ხან ერთის სახეს წარმოიდგენდა, ხან მეორისას, ხან ვის სიტყვებს გაიბურთავებდა, ხან ვისას და კვლავ უგებულად ხითხითებდა... ბეღნიერი იყო ხოლმე ამ დროს ბატონი დათუა გულცივაძე!

აი ახლაც მოკამათეთა სახის გამომეტყველებას რომ ათვალიერებდა, სახლში საცინელი მასალას ამზადებდა!..

— რასაკვირველია, შენ მართალი ხარ, დასტური დასცა კოდალას სიტყვებს და თან გულში ეცინებოდა დიდ თავიანის თვალების ბრიალზედ.

— დათუა, დათუა! დაუშიდა კოდალა გულცივაძეს. შენ ხომ მიცნობ, კაცო, ხომ იცი რაცა ვარ და, მე მგონია, ბ-ნ ცერ-

(*) იხ. „ივერია“ № 209.

(*) იხ. „ივერია“ № 209.

საბრალმდებლო ოქმი, რომლის ძალით სამართალში იქმნებიან მიცემული ყაჩაღი საბა თედეშვილი (ფუხაშვილის ამხანაგი) და კიდევ რვა სხვა ყაჩაღი. გაზეთი „კავკაზი“ ამბობს, რომ ამ საქმეს სამხედროოლქის სასამართლოს გადასცემენო.

⁂ ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ ლაპარაკი იქმნება, სხვათა შორის, კავკასიაში შინა მრეწველობის გაძლიერების შესახებაც.

⁂ იმ ქალებსა, რომელთაც სწავლის კარგად დამთავრების მოწმობა აქვთ გიმნაზიისა ანუ პროგიმნაზიის პირველ სამის კლასისა, და თუ 16 წლამდე ნახევარის წლის განმავლობაში მაინც მასწავლებლად ან მასწავლებლის თანაშემწედ იქმნებიან ეხლანდელის წესით, უფლება ეძლევათ სახალხო სკოლებში მასწავლებლობისა. თუ კარგად აქვთ სწავლა დამთავრებულიო, ნათქვამია. ამიტომ შესაძლებელი იყო, რომ ზოგისათვის ასეთი უფლება არ მიეცათ. ეხლა-კი საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა—სრულებით არ არის სავალდებულო, რომ ამ ქალებს ყველა საგნებში 4-ზედ ნაკლები ნიშანი არა ჰქონდეთ და ამიტომ სახალხო სკოლებში მასწავლებლობის უფლება მიეცემათ იმ ქალებსაც, რომელთაც პროგიმნაზიის კურსი გაუთავებიათ და ამის მოწმობა აქვთ.

⁂ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში წელს 214 ყმაწვილს მიუცია თხოვნა ამ სასწავლებელში მიღებისა, ეგზამენებზედ მისულა 202, მიუღიათ მხოლოდ 96. 38 რუსი, 36 სომეხი და 22 ქართველი. სხვებს ყველას უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებაზე.

⁂ 8 ოქტომბერს ტფილისის „კრუჟოკის“ სადგურში სადილი გაუმართეს ამხანაგებმა და ნაცნობებმა, ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად ნამყოფს ბ-ნ უთნელიშვილს, რომელიც დანიშნულ იქმნა ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად. სადილის

ცვაძის გარდა, რომელიც იმდენად დაბრმავებულა, რომ მე არ მიცნობს, ყველანი დამეთანხმებიან, რომ... რომ თუ ერთი და ორი სასიქადულო ყმაწვილი კაცი მოიპოვება საქართველოში, იმათში ერთი თვალსაჩინო ადგილი მეც მიკავია... დორბლების სროლით დაბოლოვა კოდალამ.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, კაცო. ცხიერად უპასუხა გულცივაძემ, რომელიც დიდ თავიანის მეგობრად ითვლებოდა.

— ყმაწვილო, მე იმას-კი არ ვამბობ, რომ თქვენ არ ვარგიხართ მეთქი, იმასა ვჩივი, რომ ერთმანეთის მოსმენა არ ვიცით! საიდგან დაიწყე და სად გადახვედი!.. ჩვენ გულ-წრფელობიდგან პიროვნებაზედ ჩამოვუხვიეთ. აი, ეს არის სამარცხვინო; მე, ჩემო ძმაო, სრულიადაც არ მშურს, თუ-კი პირველი ადგილი გეპირება საქართველოში, ოღონდ-კი შენის პირველობით ჩვენ საზოგადო საქმეს მოემატოს რამე, ოღონდ-კი ჩვენს ადამიანებს დაეტყოს წინ-

დროს სიტყვები წარმოსთქვეს ბ-ნმა სავიცკიმ, ტარსაიძემ, ყარანგოზიშვილმა, ჯალალოვმა და სხვათა.

⁂ კ-ვკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებას, როგორც შევიტყეთ, აზრად აქვს ტეზერის გარდა გორის მაზრის სხვა რომელსამე სოფელში ერთხელ კიდევ გამოსცადოს გუთნები.

⁂ როგორც ქალაქის გამგეობის ცნობებიდგანა სჩანს, 28 სექტემბრიდგან 5 ოქტომბრამდე ქალაქის კასაში შესულა: ტყვების გადაზიხადისა—9942 მან., 80 კაპ., საყასბოდგან—35,140 მან., 29 კაპ., ცხენებზედ დაწესებულ გარდასახადისა—26,717 მან., ვერის ხიდისა—9,333 მან., 40 კაპ., მნაკაკანის ხიდისა—4,788 მან., 36 კაპ., ქალაქ-ს ადგილისა—9224 მან., 34 კაპ., ურმებისა—11,748 მან., 56 კაპ., სასწორებისა—4914 მან., 45 კაპ., „ტრაქტორებისა“—25,273 მან., 26 კაპ., დასაფასებელ გარდასახადის დროზედ შეუტანლობის ჯარიმა 11031 მან., 50 კაპ., წყალის ფასი—131,186 მან., 79 კაპ., სულ, სხვა წვრილმან შემოსავლთან ერთად,—284,517 მან., 29 კაპ.

⁂ სომხურ გაზეთ „მშაკ“-ს სწერენ საფრანგეთიდგან, რომ ლიონის სამეურნეო სასწავლებელში ოთხი ქართველი სწავლობს და ერთი სომეხიო.

⁂ გაზეთი „ნოვ.ობზ.“-ესწერს, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქს მიუმართავს მთავრობისთვის და უთხოვნია ხუთი ათასი მანათი მოგვეცით, რომ ამ ფულით დავეხმაროთ ამიერ კავკასიაში საერო განათლების სამინისტრო სკოლებში მოსწავლე ღარიბ მოწაფეებსაო.

⁂ კაშდოკანიდგან სწერენ ტფილისის გაზეთებს: „ამ ბოლოს დროს ჩვენსა და მახლობელ სოფლებში ციებ-ცხელება მძვინვარებს. ჯერ უურადღებას არ აქცევდა ამ სენს ხალხი, მაგრამ როდესაც რამდენიმე კაცი გამოესალმა წუთი-სოფელს, სოფლელებმა ყრილობა მოახდინეს და მკურნალის რჩევით, გადასწყვეტეს, ქინა დავიბაროთ და ვიწამლოთო“.

⁂ სოფ. ტეზერი, (გორის მაზრაში). 4 ოქტომბერს გაუმჯობესებული გუთნები გამოსცადეს. ამ აზრით ჩამოვიდნენ კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების მიერ გამოგზავნილი კაცები. საუბედუროდ წვიმიანი დღე იყო და ამან ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა გუთნის კარგად გამოცდას. გამოცდას ხალხი ნაკლებად დაესწრო და სხვა-და-სხვა ჯურის გუთნებში ყველამ ეკარტის სისტემის № 1 გუთანი ამჯობინა, რომელმაც გაცილებით უფრო ღრმად და განივრად მოხნა, ვიდრე სხვა გუთნებმა.

⁂ ᲐᲮᲢᲐᲒᲓᲐ. ვაგონის დაცლის დროს მუშას დავით მიდლიაშვილს, ლიანდაგის რკინა მოხვდა და მარცხენა მუხლი მოსტეხა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადყოფოში გაჰგზავნეს.

⁂ ოფიციალურ ცნობებიდგანა სჩანს, რომ 16 სექტემბრიდგან 1 ოქტომბრამდე ტფილისში ქურდობა მომხდარა 7, კაცი დაუბრიათ—2, მოუკლავთ—3, თავის მოკვლა—3, უეცრად გარდაცვლილა—1, ცეცხლი გაჩენილა—1, მიუგდიათ ბავშვი—1.

თეატრის მატიანე

„ჰაი გიდი მეგობრებო!“, ოთხ მოქმედებიანი კომედია, თხზ. სარდუსი.

ვიქტორიენ სარდუ, რომლის პიესითაც დაიწყო ქართული წარმოდგენები, არ ეკუთვნის დრამატიულის ხელოვნების დიდებულ მწერალს. ერთად-ერთს ღირსებას სარდუსას შეადგენს ის, როგორც ამბობს ერთი ფრანგი ისტორიკოსი ლიტერატურისა,—რომ ასჯერ და ორასჯერ აავსებს ხოლმე ხალხით თეატრის დარბაზს. ეს-კი იმისი ბრალია, რომ სარდუს მეტად კარგად ესმის სცენის ხელოვნება, ძალიან კარგად იცის პარიეის საზოგადოება და სცენის ეფექტების მოხერხების მხრივ სწორი და ბადალი არა ჰყავს. სარდუს განსაკუთრებით სარა ბერნარის პიესების „მკეთებელ-მოიჯარადრეა“ და სწორედ ამ დიდებულის არტისტის

ლები აქეთ-იქით გამსხდარიყვნენ... ასეთი იყო კრების შესავალი, ხოლო თვით კრება უფრო მრავალ-ხმოვანი და დიდად საყურადღებო.

II

ბუხრის რაფაზედ დადგმულმა სათმა ათჯერ დაანცხიკინა და წევრებიც მოიწვიეს ადგილის დასაკავებლად. ასტყდა ხმაურობა, ფეხების ფლასტა-ფლუსტი, გადაჯდომ-გადმოჯდომა და ბოლოს ყველამ სული განაბა... ორი თუ სამი ყმაწვილი კაცი კარებში აეყუდა. ერთი მათგანი-კი ისე ღონივრად დასჯაჯგურებოდა კარების ყურსა, ვეგონებოდათ, უნდა გამოამტვრიოსო...

— აბა, დრო არის ბატონებო, საქმეს შეუდგეთ! ამცნო პატივცემულ კრებას დათუა გულცივაძემ.

ძალიან კარგი იქნება! აბა თავმჯდომარე ამოვარჩიოთ. გაისმა აქეთიქიდამ. ყველამ ერთმანეთს შეჰხედეს, ზოგმა იმიტომ, რომ სათავმჯდომარეო კაცს ეძებდა და ზოგმა კიდევ იმიტომ რომ, თვალებით დაჰკითხებოდა

ქალის თამაში უფრო იზიდავს საზოგადოებას მის პიესებში, ვიდრე თვით ავტორის ნიჭი და ხელოვნება.

მართალია, სარდუს პიესა „Patrie“-დგან გახლავსთ გადმოკეთებული ჩვენი საყვარელი დრამა „სამშობლო“, მაგრამ გულ-ახდილი უნდა ვსთქვათ, რომ არც იგი ასცდენია სარდუს ნაკლულევანებებს, იგიც ეფექტებითა და რახარუხით არის სავსე, ხოლო თუ ქართულს სცენისადვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას სხვა მიზეზი აქვს.

ასეთისავე ნაკლულევანებებით არის აღსავსე სარდუს უკანასკნელი პიესები „ტერმიდარი“ და „მადამ სანჟენი“, რომელთაც მთელს ევროპის სცენებზედ დიდის აღტაცებით მიეგებნენ და გულ-უხვ მასპინძლად დაუხვდნენ. აზრი რაიმე სარდუს პიესას არა აქვს. როცა მისის პიესის შემდეგ თეატრიდგან გამოდიხარ, სულის საზრდო არა გამოგაქვს რა, იგი ერთის წუთისაც არ დაგაფიქრებს და არ აღგიძრავს არავითარ ღრმა გრძნობასა და აზრს. ასეთის პიესების ერთ საუკეთესო ტიპად უნდა ჩაითვალოს გუშინ-წინ წარმოდგენილი „ჰაი გიდი მეგობრებო!?“.

კოსალო (ბ-ნი გედევანოვი), მდიდარი პარიზელი, აგარაკად გასულა. მშვენივრადა სცხოვრობს, მეტად გულ-კეთილი და გულ-უხვი მასპინძელია. ნიადაგ იმასა სწუხს, რომ არავინა ჰყავს სახლში. სახლი ყოველთვის ვითომ და თავისის მეგობრებითა აქვს ავსილი. ერთი მათგანი, მორისი (ბ-ნი შათირიშვილი), იმისს ცოლს (ქ-ნი ეფ. მესხისა) გაუარშიყდება და საქმე კინაღამ დრამამდის არ მიაღწევს, რომ ერთი ექიმი არ გამოჩენილიყო (ბ-ნი კ. მესხი), რომელიც შეაყვარებულ, ქმრის საღალატოდ განმზადებულს უდარაჯებს და გადაარჩენს ქალს უნამუსობას და ქმარს კი ცოლის ღალატს. დანარჩენი მეგობრები-კი მხოლოდ დაჰხარიან საწყალის კოსალოს ამგვარ შემთხვევას. ეუბნაც აიდებინებენ, რომ მორისი შენს ცოლსა ჰყვარობსო, მაგრამ კიდევ და კიდევ ექიმი გამოჰხსნის გამონასკულს კვანძს. ბოლოს კოსალო მარტო დარჩება, მეგობრები ძალითა, თუ ნებით შემოეცლებიან,

---

ერთი მეორეს: „რა თავმჯდომარე გვინდაო“.

— ბატონო დათუა, ინებეთ თავმჯდომარეობა! მიჰმართა ერთმა გულცივაძეს, ალბათ იმიტომ, რომ თითქმის ყველაზედ ახოვანი ის იყო.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, ჩემზედ პატივ-საცემები განა არ არიან? ზრდილობიანად იუარა დათუნამ.

— ბატონო კვირიკე, თქვენზედ უკეთესს ვიღასა ენახავთ? წამოიძახა ტასომ და თან თვალებით კვირიკეს მახლობლად ცარიელ ადგილს ეძებდა.

— კვირიკე, კვირიკე! ახმაურდნენ სხვა ქალებიც.

— ბატონებო, ნება მიბოძეთ უარი მოგახსენოთ, რადგანაც...

— არ იქნება, არ იქნება! ბანი მისცეს დანარჩენმა,

— კენჭი ვუყაროთ, კენჭი! დაიყვირა ვილაცამ.

— კენჭი, კენჭი! გაიმეორეს ხუთმა—თუ ექვსმა და თან ერთმანეთს ეფარებოდნენ.

— რაღა კენჭი გვინდა! აბა კვირიკე, კვირიკე, კვირიკე! აყლავ ყლავდა მთელი ოთახი. და როცა ხმა მისწყდა, კვირიკე უკვე თავმჯდომარის ადგილის გამონასკულიყო. სიჩუმე ჩამოვარდა.. საამურია ამ დროს კრებაზედ ყოფნა, გული გიტოკავს და ენას ძალი-ძალ ინერწყვავ, თუ შეგიძლიან მალეც იმეტრმეტყველებს!!.

— ბატონებო და ქალბატონებო! აღიმაღლა ხმა კვირიკემ. პირველად მადლობას გწირავთ, რომ პატივი მეცით და თამჯდომარედ ამომარჩიეთ. იმედი მაქვს პირ-ნათლად შეასრულო თქვენი მონდობილება... ახლა-კი დრო არის დავიწყოთ...

— ძალიან სასიამოვნოა—ჩაურთო ერთმა წევრთაგანმა.

— მე გთხოვთ, ბატონებო, ვიდრე ხმა არ მოგცეთ, თქვენ თავად ნუ ილაპარაკებთ, შენიშნა თავმჯდომარემ, მერე დაუმატა, კარგი იქნება, ბატონო ტასო, რომ თქვენკენაც არ ჩურჩულებდნენ. ჩურჩულის დრო მგონი გავათავეთ.... ამ შენიშვნაზედ ვიღაცამ წაიფრუტუნა, თავმჯდომარემ-კი განაგრძო;

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბრალმდებლო ოქმი, რომლის ძალით სამართალში იქმნებიან მიცემული ყაჩაღი საბა თედეშვილი (ფუხაშვილის ამხანაგი) და კიდევ რვა სხვა ყაჩაღი. გაზეთი „კავკაზი“ ამბობს, რომ ამ საქმეს სამხედროოლქის სასამართლოს გადასცემენო.

⁂ ოთხშაბათს, 15 ოქტომბერს, საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ ლაპარაკი იქმნება, სხვათა შორის, კავკასიაში შინა მრეწველობის გაძლიერების შესახებაც.

⁂ იმ ქალებსა, რომელთაც სწავლის კარგად დამთავრების მოწმობა აქვთ გიმნაზიისა ანუ პროგიმნაზიის პირველ სამის კლასისა, და თუ 16 წლამდე ნახევარის წლის განმავლობაში მაინც მასწავლებლად ან მასწავლებლის თანაშემწედ იქმნებიან ეხლანდელის წესით, უფლება ეძლევათ სახალხო სკოლებში მასწავლებლობისა. თუ კარგად აქვთ სწავლა დამთავრებულიო, ნათქვამია. ამიტომ შესაძლებელი იყო, რომ ზოგისათვის ასეთი უფლება არ მიეცათ. ეხლა-კი საერო განათლების სამინისტრომ გამოაცხადა—სრულებით არ არის სავალდებულო, რომ ამ ქალებს ყველა საგნებში 4-ზედ ნაკლები ნიშანი არა ჰქონდეთ და ამიტომ სახალხო სკოლებში მასწავლებლობის უფლება მიეცემათ იმ ქალებსაც, რომელთაც პროგიმნაზიის კურსი გაუთავებიათ და ამის მოწმობა აქვთ.

⁂ ქალაქის სახელოსნო სასწავლებელში წელს 214 ყმაწვილს მიუცია თხოვნა ამ სასწავლებელში მიღებისა, ეგზამენებზედ მისულა 202, მიუღიათ მხოლოდ 96. 38 რუსი, 36 სომეხი და 22 ქართველი. სხვებს ყველას უარი უთხრეს სასწავლებელში მიღებაზე.

⁂ 8 ოქტომბერს ტფილისის „კრუჟოკის“ სადგურში სადილი გაუმართეს ამხანაგებმა და ნაცნობებმა, ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად ნამყოფს ბ-ნ უთნელიშვილს, რომელიც დანიშნულ იქმნა ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგად. სადილის

მსვლელობა!! მე, ჩემო ძმაო... უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ცერცვაძეს, მაგრამ კოდალამ ზიზღით გააწყვეტინა.

— ყმაწვილო... ჩემო ძმაო... აქეთურო, იქითურო... აბა, რას მოჰყევი? მე შენი ძმა რად ვიქნები?.. ჰა, მოლბი? მოლაქუცებ, შე ფლიდო შენა!! ძმა-კი არა, я даже знаться не хочу съ тобою (ვითომც, არაკი გიკადრებო), ჩაურუსულა დიდთავამ და ტახივით ამრეზილმა თავითფეხამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა ბესარიონი.

— აბა, ღმერთო ჩემო!.. ეს და წამოიღუღლუღა სასოწარკვეთილე-ბამდის შეურაცყოფილმა ცერცვაძემ.

როგორც იყო გულცივაძემ და შოშმინა მოკამათენი და გაჭარხლებული დიდ-თავა აივანზედ გაიყვანა, სადაც მან ყვინჩილასავით დაიწყო ფხორა და ქშნივა... თურმე აივანზედაც ყოფილიყო პატარა შემთხვევა. ორ მოსაქმე ქალს, მესამის თანადასწრებით, ერთმანეთი შეემკოთ, მგონი კვირიკეს გულისათვის, და გაბუტუ-

ლები აქეთ-იქით გამსხდარიყვნენ... ასეთი იყო კრების შესავალი, ხოლო თვით კრება უფრო მრავალ-ხმოვანი და დიდად საყურადღებო.

II

ბუხრის რაფაზედ დადგმულმა სათმა ათჯერ დაანცხიკინა და წევრებიც მოიწვიეს ადგილის დასაკავებლად. ასტყდა ხმაურობა, ფეხების ფლასტა-ფლუსტი, გადაჯდომ-გადმოჯდომა და ბოლოს ყველამ სული განაბა... ორი თუ სამი ყმაწვილი კაცი კარებში აეყუდა. ერთი მათგანი-კი ისე ღონივრად დასჯაჯგურებოდა კარების ყურსა, ვეგონებოდათ, უნდა გამოამტვრიოსო...

— აბა, დრო არის ბატონებო, საქმეს შეუდგეთ! ამცნო პატივცემულ კრებას დათუა გულცივაძემ.

ძალიან კარგი იქნება! აბა თავმჯდომარე ამოვარჩიოთ. გაისმა აქეთიქიდამ. ყველამ ერთმანეთს შეჰხედეს, ზოგმა იმიტომ, რომ სათავმჯდომარეო კაცს ეძებდა და ზოგმა კიდევ იმიტომ რომ, თვალებით დაჰკითხებოდა

ქალის თამაში უფრო იზიდავს საზოგადოებას მის პიესებში, ვიდრე თვით ავტორის ნიჭი და ხელოვნება.

მართალია, სარდუს პიესა „Patrie“-დგან გახლავსთ გადმოკეთებული ჩვენი საყვარელი დრამა „სამშობლო“, მაგრამ გულ-ახდილი უნდა ვსთქვათ, რომ არც იგი ასცდენია სარდუს ნაკლულევანებებს, იგიც ეფექტებითა და რახარუხით არის სავსე, ხოლო თუ ქართულს სცენისადვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას სხვა მიზეზი აქვს.

ასეთისავე ნაკლულევანებებით არის აღსავსე სარდუს უკანასკნელი პიესები „ტერმიდარი“ და „მადამ სანჟენი“, რომელთაც მთელს ევროპის სცენებზედ დიდის აღტაცებით მიეგებნენ და გულ-უხვ მასპინძლად დაუხვდნენ. აზრი რაიმე სარდუს პიესას არა აქვს. როცა მისის პიესის შემდეგ თეატრიდგან გამოდიხარ, სულის საზრდო არა გამოგაქვს რა, იგი ერთის წუთისაც არ დაგაფიქრებს და არ აღგიძრავს არავითარ ღრმა გრძნობასა და აზრს. ასეთის პიესების ერთ საუკეთესო ტიპად უნდა ჩაითვალოს გუშინ-წინ წარმოდგენილი „ჰაი გიდი მეგობრებო!?“.

კოსალო (ბ-ნი გედევანოვი), მდიდარი პარიზელი, აგარაკად გასულა. მშვენივრადა სცხოვრობს, მეტად გულ-კეთილი და გულ-უხვი მასპინძელია. ნიადაგ იმასა სწუხს, რომ არავინა ჰყავს სახლში. სახლი ყოველთვის ვითომ და თავისის მეგობრებითა აქვს ავსილი. ერთი მათგანი, მორისი (ბ-ნი შათირიშვილი), იმისს ცოლს (ქ-ნი ეფ. მესხისა) გაუარშიყდება და საქმე კინაღამ დრამამდის არ მიაღწევს, რომ ერთი ექიმი არ გამოჩენილიყო (ბ-ნი კ. მესხი), რომელიც შეაყვარებულ, ქმრის საღალატოდ განმზადებულს უდარაჯებს და გადაარჩენს ქალს უნამუსობას და ქმარს კი ცოლის ღალატს. დანარჩენი მეგობრები-კი მხოლოდ დაჰხარიან საწყალის კოსალოს ამგვარ შემთხვევას. ეუბნაც აიდებინებენ, რომ მორისი შენს ცოლსა ჰყვარობსო, მაგრამ კიდევ და კიდევ ექიმი გამოჰხსნის გამონასკულს კვანძს. ბოლოს კოსალო მარტო დარჩება, მეგობრები ძალითა, თუ ნებით შემოეცლებიან,

---

ერთი მეორეს: „რა თავმჯდომარე გვინდაო“.

— ბატონო დათუა, ინებეთ თავმჯდომარეობა! მიჰმართა ერთმა გულცივაძეს, ალბათ იმიტომ, რომ თითქმის ყველაზედ ახოვანი ის იყო.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, ჩემზედ პატივ-საცემები განა არ არიან? ზრდილობიანად იუარა დათუნამ.

— ბატონო კვირიკე, თქვენზედ უკეთესს ვიღასა ენახავთ? წამოიძახა ტასომ და თან თვალებით კვირიკეს მახლობლად ცარიელ ადგილს ეძებდა.

— კვირიკე, კვირიკე! ახმაურდნენ სხვა ქალებიც.

— ბატონებო, ნება მიბოძეთ უარი მოგახსენოთ, რადგანაც...

— არ იქნება, არ იქნება! ბანი მისცეს დანარჩენმა,

— კენჭი ვუყაროთ, კენჭი! დაიყვირა ვილაცამ.

— კენჭი, კენჭი! გაიმეორეს ხუთმა—თუ ექვსმა და თან ერთმანეთს ეფარებოდნენ.

— რაღა კენჭი გვინდა! აბა კვირიკე, კვირიკე, კვირიკე! აყლავ ყლავდა მთელი ოთახი. და როცა ხმა მისწყდა, კვირიკე უკვე თავმჯდომარის ადგილის გამონასკულიყო. სიჩუმე ჩამოვარდა.. საამურია ამ დროს კრებაზედ ყოფნა, გული გიტოკავს და ენას ძალი-ძალ ინერწყვავ, თუ შეგიძლიან მალეც იმეტრმეტყველებს!!.

— ბატონებო და ქალბატონებო! აღიმაღლა ხმა კვირიკემ. პირველად მადლობას გწირავთ, რომ პატივი მეცით და თამჯდომარედ ამომარჩიეთ. იმედი მაქვს პირ-ნათლად შეასრულო თქვენი მონდობილება... ახლა-კი დრო არის დავიწყოთ...

— ძალიან სასიამოვნოა—ჩაურთო ერთმა წევრთაგანმა.

— მე გთხოვთ, ბატონებო, ვიდრე ხმა არ მოგცეთ, თქვენ თავად ნუ ილაპარაკებთ, შენიშნა თავმჯდომარემ, მერე დაუმატა, კარგი იქნება, ბატონო ტასო, რომ თქვენკენაც არ ჩურჩულებდნენ. ჩურჩულის დრო მგონი გავათავეთ.... ამ შენიშვნაზედ ვიღაცამ წაიფრუტუნა, თავმჯდომარემ-კი განაგრძო;

— გაზეთი „Mip. Отг.“ ამბობს: ნამდვილად შევიტყეთ, რომ მომავალ წლის დასაწყისში წარედგინება სახელმწიფო საბჭოს ახალი პროექტი, შესახებ ღერბის გარდასახადის შეცვლისა. ამ პროექტის განხილვა ოქტომბერში გათავდება. ამ წლის ნოემბერში სახელმწიფო საბჭო განიხილავს ახალ პროექტს შესახებ იმისა, რომ გარდასახადი დაეწესოს სავაჭრო და სამრეწველო წარმოებას. რაც შეეხება სადამოქნო წესდების განხილვას, ეს საქმე გადადებულ იქმნა 1898 წლის გაზაფხულამდე.

— იგივე გაზეთი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს მომავალ წლიდგან ნება დართოს ქალების სახელმწიფო ბანკებში სამსახურისა.

— იგივე გაზეთი სწერს, რომ მომავალ წლის გაზაფხულზედ სახელმწიფო საბჭოს წარედგინება პროექტი შესახებ საკაცონერო წესდების ცვლილებისა.

უცხოეთი

—

ᲙᲠᲘᲢᲔ. ევროპის ჟურნალ-გაზეთები, როგორც არა ერთხელ და ორჯელ მოვიხსენიეთ, ძალიან ბევრს ლაპარაკობენ კრიტის საქმეთა შესახებ და იმის გაბიანურებასა და დაუსრულებლობას თითქმის ყველანი ოსმალეთს სდებენ ბრალად. იმათის აზრით ოსმალეთი ათას გვარ ხრიკებს იგონებს, რომ კრიტი თვითმმართველობა არ იქმნას შემოღებული და ამით აფერხებს ამ კუნძულის დაწყნარების საქმეს. ამ აზრის წინააღმდეგია გაზეთი „köln. Ztg.“-ი, რომელიც ამბობს: „ოსმალეთის მთავრობა, რასაკვირველია, მოწყდინებულია, რომ ახალმა წეს-წყობილებამ კრიტის მაჰმადიანებს რაიმე ზოგიერი და ენება არ მოუტანოს. თუ კრიტში ისევ თვით-მმართველობა იქმნება შემოღებული, როგორც ევროპის დიპლომატიას აქვს აზრად, ე. ი. თუ ოსმალეთის ჯარს გაიწევენ და იმის მაგიერ ბერძენთა მილიციას დაეწესებენ, მაშინ ნებაუნებლიეთ უნდა ვიკითხოთ: ვინ იქმნება კუნძულზედ მაჰმადიანთა მფარველი და შემწე? კუნძულის ქრისტიანებმა უკვე დაამტკიცეს მომავლისა და მეზობლის სიყვარული და გულ-შემატკივრობა: არამც თუ მაჰმადიანთა სარჩო-საბადებელი გაანადგურეს, არამედ ყოველ საშუალებასა ჰხმარობენ, თვით მაჰმადიანნი გასწყვეტონ და გაჟლეტონ. ამ რიგად ოსმალეთის ჯარის გაწვევის შემდეგ მაჰმადიანნი უმწეოდ დარჩებიან. კრეტის ქრისტიანნი და ბერძენთა მილიცია იმათ მიწასთან გაასწორებს. ამიტომ საეკვოა ოსმალეთი დასთანხმდეს ევროპის სახელმწიფოთა წინადადებას და თვისი ჯარი კრიტიდგან გაიყვანოს. ყველაზედ სამართლიანი იქმნება, რომ კრიტში ამას იქით არც ოსმალეთის ჯარი იყოს, არც საბერძნეთისა, წინაადმდეგ შემთხვევაში კუნძულის დაწყნარებასა და მშვიდობიანობას ევროპა ვერასოდეს ვერ ეღირსებიო.

—

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. გაზეთებმა ამბავი მოიტანეს, რომ იტალიის სატახტო ქალაქ რომში მდიდარმა ვაჭრებმა და მეექარხნეებმა თავიანთის წინაადმდეგ მანიფესტაცია მოახდინესო. ეს მანიფესტაცია გამოიწვია შემოსავლის მიხედვით გაწერილ ხარჯის გაძლიერებამ. მთავრობამ ამ რამდენისამე ხნის წინად გამოსცა ბრძანება ამ ხარჯის მომატების შესახებ მოვაჭრეთ, რომელთაც უმეტეს ნაწილად ეკისრებათ ხარჯი, არ ესიამოვნათ ეს გარემოება, 29 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზედ, შეიკრიბნენ კაპიტოლიის მახლობლად და სამინისტროს შენობისაკენ გაემართნენ. მთელი გროვა პირველად 30,000 კაცისაგან შესდგებოდა, ხოლო შემდეგ მათ უადგილო მუშები და უსაქმოდ მოხეტიალე ვაგბატონებიც შეუერთდნენ და იმისი რიცხვი 100,000 კაცამდე ავიდა. მთელის ქალაქის მაღაზიები, დუქნები და საერთოდ სავაჭრო სახლები, დაკეტილი იყო. ესენი ბრასკოს სასახლისკენ გაემართნენ, სადაც მინისტრ-პრეზიდენტი ედ რუდინი უცდიდათ. სამინისტროს შენობის წინ ხმოლოდ 30 ჯარისკაცი იდგა. უკმაყოფილოთა ბრბომ აქ საშინელი ყვირილი და ხმაურობა ასტეხა. ფანჯრები ქვებითა და ჯოხებით დალეწა. შემდეგ მთელი რაზმი იქმნა მოწვეული, მაგრამ ესენი მაინც არ დაწყნარდნენ, მათ ქვა ახლა ჯარის კაცებს დაუშინეს და ბევრი მძიმე დაც დასჭრეს. ბოლოს ჯარმა, როგორც იყო, გაჰფანტა უკმაყოფილონი და პოლიციის დახმარებით ბევრი მთგანი შეიპყრო კიდეც. დაპატიმრებულთა შორის ბევრი სოციალისტი და ანარქისტიც ურევია.

დამაკვირდი

სკეკუოთ მოპოოკეტეული სიმდადრე ეგმ კეადრეკეს რჩეეთ, თეკთ მომეპოკეტეულს-კი სსსჯეული და სსუკეუნო სირცხეკეი ერკეკს ხოდმე წოდად.

*

ბრძენნი დადი ხანია კეკსრაის ეუხამდნენ სისულელეს, თეკთსოკის სსსრგეტდოდ რომ არ მიაჩნდნეთ იგი.

ლარო შეფუკო

***

ეუმადურობას არაკეის კეპპატეკეთ სოდმე, ჩკენსკეკ თეკს-კი ძალიან ადეიდად.

ინგლის. ანდაზა

ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲗᲘᲓᲒᲐᲜ

(ამოკრებილი ამბები)

ერთს უცხოელს ჟურნალში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ბ-ნ ბანგასი შესახებ იმისა, როგორა მოქმედობს სხვა-და-სხვა ფერის სინათლე ავადმყოფობაზედ. წერილი მეტად ვრცელია, ჩვენ მხოლოდ ზოგიერთ უფრო საყურადღებო ადგილს ამოვწერთ ამ წერილიდგან. ავტორი ამბობს, დიდის ხნის გამოკვლევამ დამიმტკიცა, რომ მკვნარეებს ძლიერ უყვართ სინათლე და ძლიერა ჰრგებთ კიდეც. სხვა-და-სხვა ბაკტერიებს-კი სინათლე ძლიერ ეჯავრებათ, ვერ უძლებენ და იხოცებიან, რაც უფრო ნაკლებია სინათლე, მით უკეთესია ბაკტერიებისთვის. ამ გვარად იტალიელების ანდაზა: „საცა მზე არ შედის, იქ მკურნალი უნდა შევიდესო“ მართალია, რადგანაც, საცა ბაკტერიები მრავლდება, იქ ყოველგვარი ავადმყოფობაც თავს იჩენს.

რაღა თქმა უნდა, რომ თვით ადამიანის ჯანმრთელობაზედაც თვისი მოქმედება აქვს სინათლეს. ყველამ კარგად იცის, რომ ადამიანის კანს მზე ეკიდება. უწინ ასე ეგონათ, რომ მზის მოკიდება მზის შუქის სითბოსაგანა ჰხდებაო, მაგრამ მერე დარწმუნდნენ, რომ ეს მზის სხივის სითბო-კი არა, სინათლე მოქმედობს ესე და კანი იმიტომა ზაგდება. ეს იმითიც მტკიცდება, რომ ცივ ქვეყნებშიაც-კი მოჭკიდებია მზე მოგზაურებს.

რაკი აშკარაა, რომ მზის სხივი ადამიანის კანზედ მოქმედობს, ამიტომ ზოგიერთ ავადმყოფობის დროს, საჭიროა მზის შუქი არ მიაკარონ. მკურნალმა ვინსენმა ამ სამის წლის წინად ყვავილიანი ავადმყოფი ბნელს ოთახში დაწვინა, ოთახს მზის შუქი არ მიაკარა, მხოლოდ წითელი ფარანი აანთო, რადგანაც დამტკიცებულია, რომ წითელი ფერი ძლიერ უზდება ყვავილიანს ავადმყოფს. ესეთივე საშუალება სცადეს დანიაში და სხვა ქვეყნებში და 70 ავადმყოფთა შორის მხოლოდ ერთი გარდაიცვალა. რომ მზის შუქი ძლიერ მავნებელია ყვავილიან ავადმყოფისათვის, შემდეგის მაგალითით მტკიცდება: ერთი კაცი ყვავილით იყო ავად; თითქმის სრულიად მორჩა და ყვავილი მარტო ერთს ხელზედ ეტყობოდა. მაშინ საცდელად გარედ გამოიყვანეს მზეზე. ხელი დუმენწუადდ, როდესაც სრულიად მორჩა, მარტო ამ ხელზედ შერჩა ყვავილის ნიშნები, სახეზედ და ტანზედ-კი არაფერი ეტყობოდა, რადგანაც ავადმყოფი ბნელს ოთახში იწვა. საყურადღებოა, რომ ჯერ ისევ ძველ დროში ჩინელები და იაპონელები ყვავილიან ავადმყოფის ოთახის ფანჯრებსა, კარებებსა და კედლებს წითელ ფარდებს აფარებდნენ და ბავშვებს წითელ ფერად შეღებილ სათამაშოებს აძლევდნენ.

***

ეს ერთი თვე იქმნება, რაც ლონდონში მოქმედება დაიწყო ახალმა საზოგადოებამ, რომელიც ქალაქში ელექტრონის ეტლებს ამუშავებს. ჯერ-ჯერობით ამ საზოგადოებას მხოლოდ 15 ეტლი აქვს. ეს ეტლები სხვა ეტლისაგან არაფერით განირჩევა. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ამ ეტლს ცხენები არ უბია.

***

ამერიკაში ყოველ წელიწადს კრება იკრიბება ხუროთ-მოძღვართა. უკანასკნელ კრებაზედ გამოსცადეს ერთის ხუროთ-მოძღვარის მიერ წარდგენილი წამალი, რომლის შემწეობითაც შეიძლება ხე ისე მომზადდეს, რომ ცეცხლი არ წაეკიდოს. ხუროთ-მოძღვარმა ელლისმა იქვე კრების წინ მოატანინა ხე, ჩაჰყარა დიდს ქვაბში, მერე ისე დაბურა, რომ შიგ ჰაერი არ ჩასულიყო, მერე საგანგებოდ გაკეთებულ მანქანით ამ ქვაბიდგან გამოზიდა ჰაერი და შემდეგ ქვაბში შეუშვა ორთქლი და რაღაც წამალი. თვით წამალს ჯერ არ აცსადებს ელლისი. მერე ხე გამოიღეს, დაასხეს ზედ ნავთი და ცეცხლი წაუკიდეს. ნავთი დაიწვა, მაგრამ ხეს-კი ცეცხლი არ მიეკარა.

ᲡᲐᲮᲕᲬᲚᲔᲑᲘ, ᲗᲣ „ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘᲡ“ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲠᲝ?

(„ივერიის“ მე-172 №-ში მოთავსებული ფელეტონის გამო).

(დასასრული *)

ჩემის აზრით, პროვინციისათვის-კი არა, ტფილისელ მხმარებელთ თავისთვის დაუარსებიათ ერთი მაღაზია, ამირობენ მეორე და მესამეც დაიარსონ. ღმერთმა ინებოს, მთელის ტფილისის მაღაზიები იმათ მაღაზიებად გადაქცეულიყოს, ამისთვის დიდი სიხარული გვმართებს და თან წაბაძვაც. აი, ამ წაბაძვაში ერთი დაბრკოლებაა, რომელსაც ვერც ტფილისის მხმარებელთა მაღაზიები, თუნდა ასიც სხვა დაარდეს იმავე ხასიათისა, როგორიც უკვე დაარსებულია, და ვერც პროვინციის სავაჭრო ამხანაგობები თავს ვერ გადაახტებიან. ეს დაბრკოლება გახლავთ საწყობები, საიდამაც ყველანი უნდა საზრდოობდნენ. რომ ეს ასეა და ბ-ნი ერთი მოწილეთაგანი ტყუილად ირჯება ამ საგნების სიის შედგენით, რომელ საგნებსაც „შუამავლის“ მაღაზია იძენს პირდაპირ პირველ ხელიდგან, ამას ცხადად დაინახავს, ვინც არ დაიზარებს და ჩაათვალიერებს იმ საგნებს. რიცხვით ეს საგნები 32, თუმცა ზოგიერთი ორორჯერ იმეორება. როგორც თვით ბ-ნი ერთი მოწილეთაგანი ამბობს, „შუამავლის“ მაღაზიაში 240 სხვა-და-სხვა სახელის საგანი ისყიდება და ამათგან 32 პირ-დაპირ პირველ ხელიდგან არის შეძენილი, დანარჩენ რიცხვის 208 სხვა-და-სხვა სახელწოდების საგნის შესახებ თუმც სდუმს პატივცემული ერთი მოწილეთაგანი, მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ბ-ნ გურგენოვისა და ბაინდუროვის საწყობებიდგან არის შეძენილი, იმ საწყობებიდგან, რომლებიდგანაც იძენენ არა თუ მარტო სოფლის დებოები, არამედ სოფლის კერძო მედუქნეებიც. ჩვენ ამ 208 სახელწოდების საგანს თავი დავანებოთ, იქნება არც-კი ღირდეს იმაზედ ლაპარაკი და ამიტომ თვით ბ-ნმა ერთ მოწილეთაგანმაც დუმილით განვლო ამ საგნების ყიფაზები, ჩვენ ეს სია-შემდგარი საგნები გადავშინჯოთ, იქნება ამ პირველ ხელიდამ შეძენილ საგნებითაც შეიძლება დავმართოდ პროვინციაში სავაჭრო ამხანაგობები. ვნახოთ: „ყველი და ერმა, სპონნი, არაყი და ღვინო, ლიტრები, ცოცხები, კარტოფილი, ჭარხალი, მუხუდო, ხახვი, ლობია, სტაფილო, კომბოსტო და ხილეული,—სულ 14 საგანია. დამეთანხმებით, რომ პროვინციის სავაჭრო ამხანაგობანი ამ სა-

*) იხ. „ივერია“ № 209.

— ამ გვარად, ბატონებო და ქალბატონებო, ღღეს ჩვენ კრება გვაქვს.

— ახალი ამბავი! წაიბუტბუტა გულცივაძემ.

— მიზეზი მგონი ყველამ იცით და ამიტომ ტყუილი დროს დაკარგვა იქნება კვლავ განვმარტოთ იგი...

— ბატონო. თავმჯდომარე! მოისმა ოთახის ბოლოდგან: სიტყვა მიბოძეთ.

— კვირიკემ მიიხედ-მოიხედა და უთხრა: ინებეთ სიტყვა.

— მე, ბატონებო, ახალი წევრი გახლავართ, დაიწყო, და კარგი იქნება გამაგებინებდეთ, რაშია საქმე, რისათვისა ვართ შეკრებილი?

(ხმა ისმის: კარგი იქნება, კარგი! ჩუჩულებენ, თავ-დაჭერით იცინიან).

— ბატონებო გამაგებინეთ რაზე დაიყვარა თავმჯდომარემ: თქვენ რა გინდოდათ? დაეკითხა კვირიკე მაგრამ არ იცოდა ვის დასცქერებოდა, რადგანაც ერთის მაგივრათ ახლა ხუთი ექვსი იდგა ფეხზე.

— მე ის მინდოდა, უადგილოდ დაიწყო ერთმა სათვალებიანმა ყმაწვილმა კაცმა, რომა... (სიტყვები ვეღარ იპოვნა) ჰო, რომა... ნება მომეცეთ რუსულად განვმარტო ხოლმე ჩემი აზრი, რადგანაც ქართული არ ვიცი და ანკი რა სირცხვილია, რადგანაც რომა არ მისწავლია.

გადასწყვიტეს, ენათა თავისუფლება, ე. ი. სათვალებიანსა და სხვას, ვინც-კი მოისურვებდა, შეეძლო რა ენაზედაც სურდა ეზრი წარმოეთქვა და კრების საგანი აეხსნათ...

კრების საგანი მარტივი იყო: შრომა და ერთობა მაგრამ წევრებს შორის ისევ საშინელი კამათი ასტყდა, სწოეთ ამ შრომისა და ერთობისა თვის არ იცოდნენ როგორ ეშრომნათ და ან როგორ შეერთებულიყვნენ. ყველაზე ბევრს, რასაკვირველია, კოდალა, გულცივაძე, თვით თავმჯდომარე, ბესო და სხვა ინტელიგენტები ლაპარაკობდნენ. ამასთანავე მოგეხსენებათ ადამიანის ხასიათიც! ყველა თავისას გაიძახოდა, და თითოეული მთგანი მართო თავისს ნათქვამს სთვლიდა სამართლიანად და რისთვისაც თითოეულ ხმას სამოცჯერ ჩამოუტარებდენ ხოლმე კენჭსა, იდგა ერთი ყიჟინა და ღრიანტელი. კარებთან ატუზულები მალმალე აშოშმანებდენ გაცხარებულ მობაასეთ და აგონებდენ, რომ ხმაურობით საქმე არ გაკეთდება.

მა დროს შემოვიდა მაღალ მაღალი, ტან-წვრილი და სანდომიანის შეხედულობის ყმაწვილი კაცი. პირველადვე ეტყობოდა, რომ მორცხვი უნდა ყოფილიყო. მართლაც შემოვიდა თუ არა კარებში, ყველას მოწიწებით საერთო სალამი უძღვნა, ბატონებს ვახლავარო, წაიბუტბუტა და მთლათ გაწითლებული აქეე კარებთან აეყუდა. კალმუხის ქუდი ილლიაში ამოიდო და მოწიწებითვე ბოდიში მოიხადა.

— მაპატიეთ, ბატონებო, რომ დავიგვიანე... განა არ მოგეხსენებათ მარტოხელი მედუქნის სიქმე... არაფინა მყავდა, რომ დუქანში დამეყენებინა და ვიდრე არ დავკეტე, წამოსვლა ვერ მოვახერხე.

— მედუქნე ვარო, სთქვა ნიკოლამ და ამასვე ჰმოწმობდა მისი ჩაცმა დახურვაც; იმისი დიმეტის ახალუში, ვერცხლის ქამარი, საზაფხულო პალტო და მაღალ ყელიან წაღებში ჩატანებული განიერი შარვალი ერთის შეხედვით ყარაჩოღელს მოგაგონებდათ, იმ ყარაჩოღელ ძმაბიეს, რომელიც ლოთი-ფოთობაში ჩაფლულა და სველ ხელადას დასძმობილებია, მაგრამ უნდა დაჰკვირვებოდით ნიკოლას მაღალსა და გაშლილ შუბლს, მის სიცოცხლითა და ქკუთი სავსე თვალებს, მის გულუბრყვილო და უმანკო ლაპარაკს, რომ ამ ყარაჩოღელში თქვენ გეცნოთ ნამდვილი ჭაბმაანი, სულითა და გულით მოყვარე თავისის თანამოძმისა, ყველგან და ყოველთკის მზა, თავისი უკანასკნელი სიცოცხლეც-კი შეეწირა მუშისა და დაზარგულ მოძმისათვის. ასეთი გახლდათ ნიკოლა, მაგრამ გირეგნობამ მაინც თავისი გაიტანა და ზოგიერთებმა ტუჩიც-კი აიწიეს!.. ამათ რიცხვში რამდენიმე ქალიც ერია, მაგრამ ისეთნი კი, რომლებიც ყოველ კრებაზედ მარტო კოხტაობენ და რომელისამე ყმაწვილი კაცის ენა-პირად გარდაიქცევიან ხოლმე...

— განაგრძეთ, თქვენი ჭირიმეთ, შეეხვეწა ნიკოლა ერთხანს შეჩერებულს კრებასა.

— განვაგრძობთ-კი, ჩემო ძმაო, მაგრამ შენ რა იცი რა თავ-პირის მტკრეცა გვაქესო! წაიბურტყუნა თავისათვის ბესომ და იდაყვზედ დაყრდომილმა ყური მიუგდო ბატონ თავ-მჯდომარის ლაპარაკსა...

მეტია, ჩემო კეთხველო, აღვნიშნოთ თითოეულის ნალაპარაკევი!... ადვილად წარმოსადგენია რასაც იტყოდენ: ეს მთა ამ მთის აჯახეს, მთელის ქვეყნის ფილოსოფოსნი და მეცნიერნი შესძრეს და ახსენეს, ერთმანეთს უვიცობა და უვარგისობა შესწამეს, გაბერტელის ჯიბეებით ქვეყანა გაამდიდრეს და თვით უვიცებმა სამშობლო გაანათლეს... ერთ თვალის დახამხამებაზედ დაეარსეს მძორავი საბკითხველოები, სათეატრო დასები, დეპოები: რაც მუდმივს, დაუღალავ შრომასა და ადამიანის „მეს“ უარის ყოფას სხვა ქვეყნებში გაუკეთებია, აქ ყვირილითა და ერთმანეთის გალანძღვით მოახერხეს...

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გნებს ტფილისიდამ არასოდეს არ წაიღებინებენ, დარჩა რუსეთისა და საზღვარ გარეთიდამ გამოწერილი საგნები: „სარდინკები და კონსერვები, ყოველ გვარი მაკარონები, ზეთები, ფქვილები, სპიჩკა, მდოგვი, ესენციები და ჟელატინები. ამ საგნებიდგან იშვიათად, მაგრამ შეიძლება პროვინციაში წაიღონ ფქვილი, მაკარონი და ზეთი; სპიჩკა-კი ღვთის წინაშე ბევრი გაიყიდება, მაგრამ ამისთვის ცალკე სავაჭრო ხომ არ დაარსდება, გამოვიდა, ბ-ნო ერთო-მოწილეთაგანო, რომ „შუამავლის“ მაღაზია ძალიან შორს არის ჯერ-ჯერობით იმ მდგომარეობაზედ, რომელიც პროვინციის სავაჭრო აბზანაგობებისათვის სანუკარია და ხელსაყრელი. პროვინციის სავაჭრო ამბანაგობებისათვის ისეთივე საწყობები საჭირო, როგორიცა აქვთ ბ-ნთ ბაილდუროვს, გურგენოვს, მილოვს და სხვათ, ხოლო იმ გარჩევით, რომ ეს საწყობები ამბანაგობისა იყოს და საგნად სავაჭრო ამბანაგობების გავრცელება და აღორძინება ჰქონდეს ქალაქებშიაც და დაბა-სოფლებშიაც.

დიახ, მე სამი წერილი დავწერე სასოვდაგრო ამხანაგობის, ანუ საწყობების საჭიროებაზედ და რომ შემეძლოს, ოვითოეულს ქართველს საკუთარს წერილს მივწერდი; რომ შემეძლოს, დღე და ღამე მოსვენებას არ მივცემდი არც ერთს ქართველს, იქამდის საჭიროდ მიმაჩნია საწყობების გამართვა ტფილისში. ამასთან იქამდის დიდ საქმედ მიმაჩნია იგივე სასოვდაგრო ამხანაგობა, ანუ საწყობები, ანუ შუამავალი, რაც ვნებავთ დაუძახეთ, ოღონდ შინაარსი ის იყოს, რაზედაც ამდენს ვლაპარაკობთ და ვწერთ; იქამდის დიდ საქმედ მიმაჩნია, რომ რაც ქართველებს საზოგადო საქმეები გვაქვს დაწყობილი, ჯერ ხანად სუფეველას ამას ვანაცვლებდი, არჩევანში რომ შევეყენენ ვისმე. ამიტომაც საჭიროდ მიმაჩნია, რომ ამ დიდს საქმეს პატივცემული კაცი დაუდგეს თავში. წესდება აუცილებლად საჭიროა, რადგანაც „შუამავლის“ წესდება არ შეიცავს იმ დამოკიდებულებას, რომელიც უნდა იყოს საწყობებსა და პროვინციის სავაჭრო ამხანაგობათა შორის.

რაც შეეხება თქვენს კიკინს, ბ-ნო ერთ მოწილეთაგანო, რომ მე აქამდის წერი არა ვარ „შუამავლისა“ და ამიტომ ჩემისავე თქმით ქართველობასაც მოკლებული, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ საწყობებზედ გვქონდა ლაპარაკი და ისიც ქაღალდზედ დაწერილზედ-კი არა, ნამდვილს საწყობებზედ. თუ ინებებს „შუამავალი“ და საწყობების გასამართავად ხელის-მოწერას ცალკე გაჰმართავს (დროა ეს ორი სხვა-და-სხვა საქმე ერთ-ურთიდგან გაარჩოთ და ერთმანეთში არ ურევდეთ), დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, პირველი მე მოვაწერ ხელსა. თუ არა, თქვენ გინდათ მანდ საყასბო დაარსოთ, რაც ძალიან მოსაწონია და საქმანარი, მაგრამ ხომ იცით თელავამდის მანდედამ წამოდებული ხორცი ვერ მოაღწევს. ამასთან ტფილისი ისეთი დიდი ქალაქია, იმოდენა ქართველობასა აქვს მანდ თავი მოყრილი, რომ ჩვენგან—საწყალ პროვინციელებისაგან—შემწეობას არა საჭიროებს. თუ შემწეობაზედ მივარდება, ტფილისმა უნდა გაუწოოს მაგვარი შემწეობა პროვინციას, და ან როგორ გაუბედავ მე მაგვარ შემწეობას ტფილისსა! და თუ არ შემწეობა, რა დავარქვა ჩემს „შუამავლის“ წევრობასა?!

ნადიკვრელი

ახალი წიგნები

მოგვივიდა „ივან და მარიას“ მიერ რუსულს ენაზედ ნათარგმნი ქართველთა პოეტთა ლექსები „Грузинскіе поэты въ образцахъ“, მეორე, შევსებული, გამოცემა. ამ წიგნში მოთავსებულია გადათარგმნილი ლექსები თავ. გრიგოლ ორბელიანისა სამი ლექსი, თავ. ალექსანდრე ჭავჭავაძისა—ერთი ლექსი, თავ. ნიკოლოოზ ბარათაშვილისა—ხუთი ლექსი, თავ. გიორგი ერისთავისა—ერთი, თავ. რაფაელ ერისთავისა—ორი, თავ. ილია ჭავჭავაძისა—ხუთი ლექსი და პოემა „განდეგილი“, თავ. აკაკი წერეთლისა—ოთხი ლექსი და, დასასრულ, თავ. მამია გურიელისა—ნაწყვეტი „რაშიდ ვარდანიძე“-ს პოემისა და ერთი ლექსი. ამ ქართულ ლექსთა რუსულს კრებულს საზოგადოება კარგად იცნობს, რადგან პირველი გამოცემა რამდენიმე წელიწადია დაიბეჭდა და გაიყიდა კიდეც. ამ მეორე გამოცემაში ისევ ის ლექსებია მოთავსებული ორიოდე ახალი დამატებით. ზოგიერთი ლექსი მართლა რომ საუცხოოდ არის გადათარგმნილი. წიგნი სუფთად და ლამაზად არის დაბეჭდილი, შეიცავს 64 გვერდს და ჭირს 30 კაპ.

—

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი, მოთხრობა „ზაქარია კეთილაძე“, თხზულება ილია ნადირაძისა. გამოცემული ზ. ჭიჭინაძის მიერ. წიგნში 80 გვერდია პატარა ზომისა და ჭირს ორ შაურად. მოთხრობაში აღწერილია ქართველი გლეხ-კაცის შვილების გამოფხიზლება, შინიდგან კარში გასვლა, წერა-კითხვის შესწავლა, აღებ-მიცემობა და ბოლოს შინ დაბრუნება. სოფელში მებატონესთან მამულების გამო დავა და, უკანასკნელ, სისხლის დაღვრა და ამის გამო დასჯა მისი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა საგენტოსაგან).

9 ოქტომბერი.

ᲞᲘᲡᲐᲑᲐᲦᲔᲜᲘ. ხელმწიფე იმპერატორი და დიდი ჰერცოგი გესენისა მობრძანდნენ $12^1/_2$ საათზედ. დაუხვდნენ იმპერატორი ვილჰელმი და პრინცი შუამბურგისა. იმპერატორები გადეხვიენენ ერომანეთს და გადაჰკოონეს ერთმანეთი. შემდეგ წაბრძანდნენ სასახლეში; ხალხი იმპერატორებს ყველგან აღტაცებით და „ურას“ ძახილით ეგებებოდა. $2^1/_2$ საათზედ ხელმწიფე და ჰერცოგი გესენისა დარმშტადტში დაბრუნდნენ. იმპერატორმა ვილჰელმმა ხელმწიფე მიაცილა რკინის გზის სადგურამდე. აქ იმპერატორები გადეხვიენენ ერთმანეთს და გადაჰკოცნეს ერთმანეთი. გერმანიის მეფე-დედოფალი და სამი პრინცი ამის შემდეგ კრონმერგში წაბრძანდნენ.

ᲓᲐᲠᲛᲨᲢᲐᲓᲢᲘ. ხელმწიფე იმპერატორი, დიდი ჰერცოგი ჰესენისა და პრინცი ალოიზ შაუმბურგისა 4 საათზედ მობრძანდნენ. გერმანიის იმპერატორი აქ ხვალ მობრძანდება.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. ხელმწიფემ შეიწყნარა კაბინეტის მიერ წარდგენილი თხოვნა სამსახურიდგან გადადგომისა და დაავალა საქმეთა გამგეობა იმ დრომდე ვიდრე ახალი კაბინეტი შესდგება. ახალ კაბინეტის შედგენა მეფემ დაავალა კონსტანტინეპოლში მყოფ სერბიის ელჩს ვლადან გეორგიევიჩს.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. გენერალ გალიენს დეპეშით სწერენ მადაგოსკორიდგან, რომ ტვირინინის სიმაგრეს ტტერი დაეცა. ციხე სიმაგრის მცველთა შორის რამდენიმე კაცი მოკლულ იქმნა, მათ შორის სამი ოფიცერი.

ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔᲞᲝᲚᲘ. სულთანმა თვისი თანხმობა განაცხადა ბარონ მარშალის დანიშნვაზედ გერმანიის ელჩად, ზაუმშნის მაგიერად, რომელიც რომში გაიგზავნება ელჩად.

მცოდნე და სანდო კაცები ამბობენ, ტყუილი არის, ვითომ ოსმალეთსა ბულგარიას საგერ-სატევი კავშირი შეუკრავთ.

პეტერბურგის ბირჟა, 8 ოქტომბერი.

	მყიდველისა.	გამყიდველისა	გაყიდულ ლისა
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ მანეთიანი ოქრო	„ —	— „	— „
5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად - აზნაურთა ბანკისა	204	— „	— „
4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . .	— „	— „	100¾
6% ფურცლები ქუთაისის სათავადაზნაურთა ბანკისა .	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¼	— „	— „
6% ტფილისის სათავადაზნაურთა ბანკისა	102	— „	— „
5% იმავე ბანკისა.	99¼	— „	— „
5% ობლიგაციები ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . .	99	— „	— „
5% პირველი შიგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	287	— „	— “
5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი .	246	— „	— „

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

—

გულითადს მადლობას ვუცხადებ: 1) ბ-ნს ვ. ხუნდაძეს, რომელმაც გადმომცა ოცდაოთხი ცალი „ივანნამ რა ჰქმნა“, მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა—დასარიგებლად ღარიბ წერა-კითხვის მცოდნეთა შორის; 2) ბ-ნ კ. თავართქილაძეს, რომელმაც შემოსწირა ზემო-სურების სკოლას ხელმწიფის სურათი და 3) ბ-ნთ ალექსი ბაგბაგაძეს, მიხ. რამიშვილს, წ. კეკელიძეს და ვლ. სანიკიძეს, რომელთაც შემოსწირეს ხსენებულ სკოლასვე ერთი საკლასო დაფა, ღირებული შვიდ მანეთად.

კ. ტრაპაიძე

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

„წერა-კითხვის საზოგადოების“ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ
საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.		
ქართლის ცხოვრება . .	8	„
იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ .	8	20
ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა	„	40
ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით	10	„
ნ. ნიკოლაძის ნაწერები .	„	30
კეთილი ძაღლი . . .	„	30
თხზულ. მამია გურიელისა	1	„
ქრონიკები თ. ფორდანიასი ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . -	1	50
ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია	„	20
აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია	„	15
ამირან-დარეჯანიანი .	1	„
ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . ,	„	40
ბუნება და ცხოვრება ი. ალაზანშვილისა . .	„	60
გედები საყმაწვილო წიგნი	„	20
პარტახი მოთ. ნინოშვილისა	„	20
ორი ეტიუდი	„	20
როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . .	„	25
სახალხო ლექსები და ლეგენდები	„	20
საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა	1	„
საქართველოს ისტორია მ. ბროსესი	„	70
მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა	„	20
ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე.	„	25
ათაბაგნი ბეკა და ალბუღა და მათი სამართალი, მისივე	„	50
თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა.	„	15
სვიმონ მეფე, მისივე . .	„	10
როსტომ მეფე, მისივე .	„	10
Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . .	1	25
II вып. . .	1	50
О грамматической литературѣ грузинскаго языка, его же	„	50
Грамоты и другіе документы XVIII ст., его же	3	„
Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . .	2	„

О ПОДПИСКѢ НА ОБЩЕСТВЕННО-ПЕДАГОГИЧЕСКУЮ И ЛИТЕРАТУРНУЮ ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ „жизнь и школа“ СЪ ПРИЛОЖЕН. „школьное обозрѣніе“ (г. Х.).

„ЖИЗНЬ и ШКОЛА„ имѣетъ цѣлью служить органомъ абъединенія русскихъ учителей и интересамъ лицъ, стоящихъ близко къ дѣлу образованія въ Россіи, и издается по слѣдующей программѣ:

1) Правительственныя узаконенія и распоряженія, касающіяся образованія въ Россіи.

2) Научно-популярныя статьи (съ чертежами и рисунками).

3) Мелкіе повѣсти и разсказы (бытовые и историческіе), путешествія, очерки и др. подоб. произведенія.

4) Статьи по педагогикѣ, дидактикѣ, методикѣ, училищевѣденію, школьной гигіенѣ. Очерки по народному образованію въ Россіи и на Западѣ.

5) Русская печать о щкольномъ дѣлѣ. Мнѣнія и сужденія печати по педагогическимъ вопросамъ.

6) Библіотечное дѣло въ Россіи и за границей. Организація общественныхъ и школьныхъ библіотекъ и др. образовательныхъ учрежденій для народа.

7) Библіографія. Критика и рецензіи педагогическихъ сочиненій какъ русскихъ, такъ и иностранныхъ, разборъ учебниковъ и пособій. Обозрѣніе періодическихъ изданій какъ общихъ, такъ и спеціальныхъ: научныхъ, педагогическихъ и т. п.

8) Корреспонденціи. Современное обозрѣніе воспитанія и обученія у насъ и за границей.

9) Политическія извѣстія и Новости русской жизни. Обозрѣніе выдающихся событій въ Россіи и др государствахъ.

10) Смѣсь. Наблюденія и замѣтки изъ школьнаго міра. Педагогическія темы.

11) Справочный указатель. Справки и указанія по различнымъ практическимъ вопросамъ учебнаго дѣла и школьнаго быта.

12) Что намъ пишутъ. Письма и сообщенія въ редакцію.

13) Книжный листокъ. Свѣдѣнія о вновь вышедшихъ книгахъ и указатель статей, встрѣчающихся въ повременныхъ изданіяхъ и заслуживающихъ вниманія какъ учителей, такъ и вообще образованнаго читателя.

14) Почтовой ящикъ. Отвѣты редекціи

15) Объявленія. Послѣднія печатаются на первой стр. по 50 к., на послѣдней по 10 к. Подписчики (годовые) печатаютъ *безплатно.*

При газетѣ издается, въ видѣ приложенія, особый сборникъ, подъ заглавіемъ *„Школьное Обозрѣніе“*, въ которомъ помѣщаются статьи, по объему, и удобныя для еженедѣльнаго изданія, а также портреты Августѣйшихъ Особъ и выдающихся дѣятелей въ сферѣ государственной дѣятельности, благотворительности и народнаго образованія.

Подписная цѣна съ доставкой и перес. **5** руб., за полгода **3** руб., и за три мѣсяца **2** руб., для начальныхъ школъ и учителей **4** руб, за границу **6** руб., за годъ.

Оставшіеся въ небольшомъ количествѣ полные комплекты газеты за 1893 г. и 1894 можно получать за 2 руб., 1895 и 1896 по 3 руб. за годъ. Библіотеки и безплатныя читальни пользуются особой уступкой. Подписчики, пріобрѣтающіе за всѣ годы пользуются, сверхъ того, уступкой 50%.

Вышедшіе №№ „Школьнаго Обозрѣнія“ и „Жизнь и Шк.“ тек. г., по требованію, высылаются наложеннымъ платежемъ на счетъ конторы.

Подписка принимается въ главной Конторѣ „ЖИЗНЬ и ШКОЛА“: С.-Петербургъ, Загородный пр., 34.

(3 ᲬᲐ.—1) Редакторъ-Издатель *М. Е. Виноградовъ.*

Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲕᲩᲐᲕᲐᲫᲔ.